



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
განათლების აკრედიტაციის
ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 26

06 04 2010 წ.

ქ. თბილისი

აკრედიტებული და ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშის ფორმის დამტკიცების
შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №222 ბრძანებით
დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის
ეროვნული ცენტრის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 20 ნოემბრის ბრძანებით
დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის
დებულების“ 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აკრედიტებული და ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების ანგარიშის ფორმა დანართის
შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითშეფასების ანგარიშის ფორმის დამტკიცებისა და
წარმოდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული
ცენტრის დირექტორის 2009 წლის 2 ოქტომბრის №46 ბრძანება;

3. დაევალოს ცენტრის კანცელარიას წინამდებარე ბრძანების ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52) ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის გზით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დირექტორი



დავით კერესელიძე